გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 13

2023 წლის 13 იანვარი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, საბავშვო ბაღის და საჯარო სკოლის მიმდებარედ, 2 (ორი) ლოკაციაზე, „ხელოვნური უსწორმასწორობების“ და ქვეითთა გადასასვლელების განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს“ წერილი, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, საბავშვო ბაღის და საჯარო სკოლის მიმდებარედ, 2 (ორი) ლოკაციაზე განთავსდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობები და ქვეითთა გადასასვლელები.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, საბავშვო ბაღის და საჯარო სკოლის მიმდებარედ, 2 (ორი) ლოკაციაზე, მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობები გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 - „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 - „ხელოვნური უსწორმასწორობები“. ასევე, მიზანშეწონილია აღნიშნულ ლოკაციებზე მოეწყოს საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნები 1.14.1- „ქვეითთა გადასასვლელი“ გოსტ Р 51256-2018-ის შესაბამისად, შემდეგ საგზაო ნიშნებთან ერთად: 5.19.1.და 5.19.2-„ქვეითთა გადასასვლელი“.

საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, საბავშვო ბაღის და საჯარო სკოლის მიმდებარედ, 2 (ორი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ და ქვეითთა გადასასვლელები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო

მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, საბავშვო ბაღის და საჯარო სკოლის მიმდებარედ, 2 (ორი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, საბავშვო ბაღის და საჯარო სკოლის მიმდებარედ, 2 (ორი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნები 1.14.1- „ქვეითთა გადასასვლელი“.

4. განკარგულების მე-3 პუნქტში აღნიშნული საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნები განთავსდეს ГОСТ Р 51256-2018-ით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები: 5.19.1.და 5.19.2-„ქვეითთა გადასასვლელი“.

5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე